

საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისთვის დამახასიათებელი თავისებურებები

დავითი პიტიურიშვილი,
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

დღესდღეობით საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ყურადღების ცენტრშია, რადგან იგი წარმოადგენს ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზნების, სტრატეგიის, პრიორიტეტების, მართვის სტანდარტებისა და ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტს.

სტატიაში საუბარია, კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის არსზე და პრინციპებზე. განხილულია, ქართულ რეალობაში არსებული საკრედიტო პროდუქტები და მათი მნიშვნელობა. საუბარია ასევე ქართული კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკისთვის დამახასიათებელ თავისებურებებზე. დასკვნის სახით მოცემულია რჩევები, კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფისთვის.

საკვანძო სიტყვები: დაბრუნებადობა, ვადიანობა, ფასიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა

Summary

The characteristic features of credit policy in Georgian commercial banks

Nowadays the policy of Georgian commercial banks is in the spotlight, because it is the bank's credit business objectives, strategies, priorities, management standards and general principles of making document.

In the article there is written about the credit policy and the principles of the Commercial banking, also there is written about the credit which nowadays exist in Georgian reality and what is their meaning. It also emphasizes the characteristic features of credit policies in Georgian commercial banks. Finally, there are some tips for improving the credit policy in Georgian commercial banking sectors.

Keywords: returnable, terminable, valuable, purpose, secure

კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის არსი

საბანკო სისტემა შესაძლებელია იყოს, როგორც ერთი, ისე ორსაფეხურიანი. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემის დროს ყველა საკრედიტო-საანგარიშსწორებო მომსახურება ერთ იერარქიულ საფეხურზე იმყოფება, მსგავსი სისტემა ძრიტადად დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ეკონომიკური სტრუქტურის ქვეყნებისთვის, ტოტალიტარული მართვის ქვეყნებისთვის, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ქვეყნებისთვის და სხვ.

რაც შეეხება ორსაფეხურიან საბანკო სისტემას, ის აგებულია ბანკებს შორის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობაზე. ვერტიკალური ურთიერთობა ითვალისწინებს ცენტრალური ბანკის და დაქვემდებარებულ რგოლებს შორის ურთიერთობას, ხოლო ჰორიზონტალური ურთიერთობები - კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობას.

საკრედიტო პოლიტიკა წარმოადგენს ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზნების, სტრატეგიის, პრიორიტეტების, მართვის სტანდარტებისა და ზოგადი პრინციპების განმსაზღვრელ დოკუმენტს. კომერციული ბანკები მმართველობითი ორგანოებისგან, საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებამდე მოითხოვენ საკრედიტო მიზნების ფორმულირებასა და განსაზღვრას, რათა დადგინდეს შესაბამება, თუ არა მოცემული მიზნები, ბანკის მიზნებს, რადგან ნებისმიერი ქვეყნისთვის ფულად საკრედიტო პოლიტიკა მაკროეკონომიკური რეგულირების ნაწილს წარმოადგენს. ბანკის საკრედიტო საქმიანობის მიზანია საკრედიტო რისკების გონივრულ მართვისა და საკრედიტო პორტფელის მოცულობისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების მაქსიმიზაციის მეშვეობით, მაღალი და სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა და ბანკის ღირებულების გაზრდა.

საკრედიტო პოლიტიკის განახლება ხდება წელიწადში ერთხელ. ამ დროს შედის რიგი კორექტირებები, რომელიც დგინდება საბანკო კონიუნქტურის ცვლილებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოხდეს დაკრედიტების საქმიანობის განვითარება და საბანკო ბაზარზე განხორციელებული ცვლილებების ასახვა. ზოგადად ამ ცვლილებებზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, რომლებიც შესაძლებელია დავყოთ ორ ნაწილად:

1. მაკროფაქტორები - ისეთი ფაქტორები, რომლებზე გავლენის მოხდენაც არ შეუძლია კომერციულ ბანკს. მაგ. კონკურენტი კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა, მსოფლიო ფინანსურ

ბაზარზე არსებული მდგომარეობა და სხვ.

2. მიკროფაქტორები - ისეთი ფაქტორები, რომლებზე გავლენის მოხდენაც შეუძლია კომერციულ ბანკს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დახვეწოს თავისი საკრედიტო პოლიტიკა. მაგ. ბანკის რესურსების უზრუნველყოფა, ბანკის საპროცენტო პოლიტიკა და სხვ.

საკრედიტო პოლიტიკაში აუცილებელია, გაერთიანებული იყოს ბანკში მიღებული დაკრედიტების საერთო სტრატეგია და დირექტივები, თუმცა ის ასევე მოიცავს, როგორც საკრედიტო ლიმიტებს, ისე დაკრედიტების ცალკეულ წესებს, რომლებიც ეფუძნება ქართულ კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებს და საკრედიტო სტრუქტურის სტანდარტებს.

კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკის შემუშავება ხდება უმაღლესი მენეჯმენტის, აღმასრულებელი ორგანოს, ან საკრედიტო კომიტეტის მიერ და ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო.

კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ესაა საკრედიტო სტრატეგიებისა და ტაქტიკების ერთობლიობა, რომლიც განსაზღვრავს ბანკის ძირითად პრინციპებს, პრიორიტეტებსა და მიზნებს საკრედიტო ბაზარზე. იგი აწესებს საკრედიტო საქმიანობის საფუძვლებს, ხოლო საკრედიტო საქმიანობის დანარჩენი დოკუმენტები ამ უკანასკნელის რეალიზაციის პრაქტიკულ მექანიზმებს

დაკრედიტების ძირითადი პრინციპები

დაკრედიტების ძირითადი პრინციპებს მიეკუთვნება:

დაბრუნებადობა

ვადიანობა

ფასიანობა

მიზნობრიობა

უზრუნველყოფა

უპირველესყოვლისა კრედიტის წამყვან კანონს წარმოადგენს „სახსრების დაბრუნებითობის კანონი“, რომელიც მიიღწევა დაკრედიტების მექანიზმის საშუალებით და გულისხმობს გასესხებული სახსრების დროულად დაბრუნებას, ამ უკანასკნელს კი სავსებით პასუხობს ვადიანობის პრინციპი, იგი განსაზღვრავს კრედიტის გამოყენების დროით საზღვრებს და მისი დაბრუნების კონკრეტულ ვადებს. აღნიშნული პირობის დარღვევა ბანკისთვის წარმოადგენს საფუძველს, რომ მსესხებლის მიმართ გამოიყენებული იქნეს სხვადასხვა სანქციები. სასიხოცხლოდ მნიშვნელოვანია, ასევე ფასიანობის პრინციპი, რაც ნიშნავს რომ მსესხებელმა ბანკს უნდა დაუბრუნოს არა მარტო კრედიტის თანხა არამედ მისი გამოყენებისთვის გარკვეული საზღაური - რომელსაც სარგებელი ეწოდება. ბანკის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა მიზნობრიობის პრინციპს, რომელიც გრძელდება მის მრავალსახეობაზე. ბანკი კრედიტს გასცემს განსაზღვრული მიზნისათვის და თვალყურს ადევნებს მის მიზნობრივ გამოყენებას, რადგან კლიენტს არ

აქვს უფლება მისი არამიზნობრივად გამოყენებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი იტოვებს უფლებას გამოიყენოს მსესხებლის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციები. ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის ბანკი იყენებს უზრუნველყოფის პრინციპს. იგიაუცილებელია ბანკის აქტივების გარანტიის შენარჩუნებისთვის, რადგან მათი ძირითადი ნაწილი ნასესხები სახსრებისგან შედგება. კრედიტის უზრუნველყოფის როლში შეიძლება გამოვიდეს მსესხებლის ნებისმიერი მატერიალური ფასეულობა, როგორც უძრავ-მოძრავი ქონება, ასევე ფასიანი ქაღალდები. თუ მსესხებელი თავის ვალდებულებას დაარღვევს, უზრუნველყოფაში მიღებული ქონება გადადის ბანკის საკუთრებაში და ეს უკანასკნელი მისი რეალიზაციის საშუალებით ინაზღაურებს კრედიტის დაუბრუნებლობით მიყენებულ ზარალს.

დაკრედიტების ყველა პრინციპი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მაგ. მიზნობრიობის პრინციპის არასწორმა შესრულებამ შეიძლება მიგვიყვანოს კრედიტის გამოყენებამდე არარაციონალური მიმართულებით. ნაკლოვანებები დაკრედიტების უზრუნველყოფის პრინციპის რეალიზაციაში გაართულებენ ვადიანობის პრინციპის შესრულებას და საბოლოო ჯამში, თუ არ მოხერხდება შეთანხმება გამოვიყენებთ უზრუნველყოფის პრინციპის, რათა მოხდეს გაცემული თანხის დაუბრუნებლობით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

საქართველოს კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს იწყება არსებული ეკონომიკური სისტემის, საბაზრო ეკონომიკით შეცვლა, რამაც თავისთავად ცხადია გამოიწვია ამ სისტემისთვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. აღნიშნული პროცესი შეეხო საქართველოსაც, სადაც განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საკრედიტო ორგანიზაციებს. მიღებულ იქნა კანონი ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკის საქმიანობის შესახებ. ამ კანონის საშუალებით ქვეყნის ტერიტორიაზე ბანკებს მიეცათ თანაბარ პირობებში ფუნქციონირების საშუალება.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის საქართველოს საბანკო სიტემა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: 1) საქართველოს ეროვნული ბანკი; 2) კომერციული ბანკები; 3) სპეციალიზირებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

დღესდღეობით საქართველოს საკრედიტო სისტემის ახალისტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავის დროზე მას რიგი ნაკლოვანებები გააჩნდა, რომლის ნაწილიც დღემდე მოგვდევს. საწყის ეტაპზე იქმნებოდა სუსტი საფინანსო ინსტიტუტები, რის გამოც კლიენტები ვერ იღებდნენ ხარისხიან მოსმასურებას, ისინი ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს, რადგან ქვეყნის კომერციულ ბანკებს არ გააჩნდათ გრძელვადიანი

საინვესტიციო რესურსები. შემდეგში ბანკების შერწყმამ უზრუნველყო ამ უკანასკნელი პრობლემის მოგვარება.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს კონსტიტუცია და ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. მთავარი ფუნქცია მონეტარულ ნაწილში ფასების და ბაზრის სტაბილიზაციაა, რაც ანტიინფლაციური პოლიტიკის წარმართვასთან, ჭარბწარმოებასთან, ან ხარჯების ზრდასთან არის დაკავშირებული. ამ უკანასკნელის შესარბილებლად კი გამოიყენება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტები და/ან სააღრიცხვო განაკვეთების აწევა. სააღრიცხვო განაკვეთების გაძვირება იწვევს საკრედიტო რესურსების ფასის გაძვირებას და შეაბამისად დეპოზიტების გაზრდას. კომერციული კრედიტის გაძვირება ამცირებს სამეწარმეო საქმიანობას, მაგრამ ზრდის დეპოზიტების მიმზიდველობას. შესაბამისად, გარკვეული პერიოდის შემდეგ დეპოზიტების მიმზიდველობის გაზრდით, ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების საბანკო არხებში გადადინება, რაც მოთხოვნის შემცირების წინაპირობა ხდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ პირველი ინსტრუმენტის გამოყენება მიმოქცევაში ფულის მასის გასაზრდელად კომერციული ბანკების ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვას გულისხმობს, ხოლო მიმოქცევაში ფულის მასის შესამცირებლად - ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ფასიანი ქაღალდების კომერციული ბანკებისათვის მიყიდვა. ასეთი ღონისძიებები პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან არ არსებობს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი. მეორე ინსტრუმენტიც, დღევანდელ პირობებში მცირე ეფექტიანია, ვინაიდან ფულის მასის დიდი ოდენობა ბანკებს გარეთ მიმოიქცევა, დასახვეწია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა.

სადისკონტო პოლიტიკის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საკრედიტო რესურსებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რაც ხელს შეუწყობს შიდასაკრედიტო ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას და ფართო ინექციებს ეროვნული ეკონომიკაში. ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების ბირჟაზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება შესაძლებლობას მისცემს საკრედიტო ინსტიტუტებს შედარებით იაფად შეიძინონ დამატებითი, რეზერვები სესხების სახით, მაგრამ ესეც პრაქტიკულად გამორიცხულია, რადგან საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს „ძვირი ფულის“ პოლიტიკას. მიმდინარე ეტაპზე ეროვნულმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთების შესამცირებლად საკრედიტო რესურსების დეფიციტის შევსებით შეიძლება უფრო გააღრმავოს ეკონომიკური კრიზისი.

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე, არსებობს შემდეგი სახის საკრედიტო პროდუქტები:

სამომხმარებლო სესხი - მას მომხმარებელი იღებს პირადი მოხმარებისთვის, გარკვეული საქონლის, ან მომსახურების შესაძენად. სამომხმარებლო სესხი აირის კრედიტი და როგორც წესი მოკლე-

ვადიანია, რის გამოც სხვა სესხებთან შედარებით ყველაზე ძვირია. საპროცენტო განაკვეთს განსაზღვრავს სესხის ვადა, მოცულობა და მსესხებლის შემოსავალი.

იპოთეკური სესხი - იპოთეკური სესხი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება - ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი.

იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენს მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

ავტოსესხი - მისი საშუალებით მომხმარებელს შეუძია შეიძინოს მისთვის სასურველი, როგორც ახალი, ისე მეორადი ავტომობილი. როგორც წესი, ავტომობილი წარმოადგენს კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებას, მანამ, სანამ მისი დაფარვა არ მოხდება ბოლომდე. შესაძლებელია, ასევე ავტომობილის ნაცვლად უზრუნველყოფაში წარმოვადგინოთ უძრავი ქონებაც.

განვადება - ეს არის სამომხმარებლო ტიპის სესხი რომელსაც მომხმარებელი იღებს ბანკიდან მალაზი-აში/სავაჭრო ობიექტში კონკრეტული საქონლის ან მომსახურების შესაძენად. განვადების გაფორმება შესაძლებელია მომენტალურად, უშუალოდ მალაზი-აში და/ან სავაჭრო ობიექტში.

ოვერდრაფტი - იგი წარმოადგენს მოკლევადიან სესხს, რომელიც დაიშვება მომხმარებლის საბარათე ანგარიშზე. მას მეცამეტე ხელფასსაც უწოდებენ და ირთვება ხელფასის შესაბამისად. ოვერდრაფტის ვადა, როგორც წესი არის 1 წელი და ყოველთვიურად ჩარიცხული ხელფასიდან მხოლოდ დარიცხული პროცენტი იჭრება, ხოლო ძირი ვადის ბოლოს იფარება. ის ძალიან გავს საკრედიტო ბარათს, თუმცა განსხვავდება იმით, რომ ჩვეულებრივ, მიბმულია ხელფასზე, საშელავათო პერიოდი კი ათვისებულ თანხაზე არ მოქმედებს.

საკრედიტო ბარათი - იგი არის ორი საბანკო პროდუქტის - პლასტიკური ბარათისა და სამომხმარებლო სესხის სინთეზი. საკრედიტო ბარათი მომხმარებელს საშუალებას აძლევს სავაჭრო ობიექტში საბანკო კრედიტით შეიძინოს საქონელი ან მომსახურება, ასევე ინტერნეტით, და/ან ბანკომატის მეშვეობით გაანაღდოს თანხა.

საკრედიტო ლიმიტი, ანუ სესხის მაქსიმალური ოდენობა, რომელიც ინდივიდუალურია, მომხმარებლის საკრედიტო ისტორიისა და მისი შემოსავლების გათვალისწინებით განისაზღვრება. შესაძლოა საკრედიტო ლიმიტის გაზრდაც. უმეტეს საკრედიტო ბარათზე მოქმედებს ე.წ. საშელავათო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში ათვისებულ თანხას არ ერიცხება პროცენტი.

საქართველოს საკრედიტო ბაზარზე, არსებული
საკრედიტო პროდუქტების შედარება

დასკვნა

ბანკი	სესხისტიპი	საპროცენტო განაკვეთი	სესხის თანხა	სესხის ვადა
ლიბერთი ბანკი	სამომხმარებლო სესხი	16% - 24%	50,000 ლარამდე	84 თვემდე
ფინკა ბანკი	სამომხმარებლო სესხი	ინდივიდუალური	100-60 000 ლარამდე	3 - 60 თვე
თიბისი ბანკი	იპოთეკური სესხი	0.25% ლარში / 10.5-12.5% დოლარში	2000 - 500,000 \$ / 400,000 ლარამდე	6-180 თვე
პროკრედიტ ბანკი	იპოთეკური სესხი	12-17% ლარში / 11-15.5% €/\$	5000-150000 ლარი/\$/€	6-180 თვე
ლიბერთი ბანკი	იპოთეკური სესხი	10.25-24% ლარში / 15- 24% \$	5,000 - 300,000 ლარამდე (ექვ. დოლარში)	6-180 თვემდე
კორ სტანდარტბა ნკი	იპოთეკური სესხი	7.7-18% ლარი / 12%-18% დოლარი	მაქს. 400,000 ლარი (ექვ. დოლარში)	6-120 თვე
ლიბერთი ბანკი	ავტოსესხი	15% - დან	2,000 - 100,000 ლარამდე	6 - 72 თვე
ბანკი რესპუბლიკა	ავტოსესხი	ახალი - 15-16% წმ (18- 20% ლარი); ძველი - 16- 20%(20-23%)	2,000 - 60,000 \$	3 - 72 თვე

ცხრილში მოცემულია, მხოლოდ რამდენიმე კომერციული ბანკის შესახებ ინფორმაცია. ცხადია სრული ინფორმაციის დაწერა რთულია, რადგან საკმაოდ ბევრი კომერციული ბანკი და შესაბამისად ბევრი საბანკო პროდუქტია ქართულ საბანკო ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ კონკურენცია საბოლოო ჯამში ხელს უწყობს, საპროცენტო განაკვეთების დარეგულირებას.

დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა ერთი შეხედვით სრულყოფილად გვეჩვენება, აუცილებელია მისი დახვეწა, რადგან საპროცენტო განაკვეთები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით მაინც ძალიან მაღალია. ეს ყოველივე კი რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება როგორც თითოეული ადამიანის, ასევე მთელი ეკონომიკის განვითარებაზე. მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში ბიზნესს უჭირს შეინარჩუნოს რენტაბელობა, ხოლო მომხმარებელს გაზარდოს მოხმარება. გარდა ამისა, ვერ ვიტარდება ფინანსური სისტემისა და მთლიანად ეკონომიკის ბევრი სფერო, რომელთა ფუნქციონირება ასეთი საპროცენტო განაკვეთების პირობებში შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რათა მოხდეს საფინანსო სექტორისა და მთლიანად ეკონომიკის განვითარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. გოგობია საბანკო საქმე თბ., 2007.
2. ვ. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე თბ., 2009.
3. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. თბ., 2001.
4. რ.ბერიძე საბანკო მენეჯმენტი. თბ., 2005
5. www.gks.ru;
6. www.nbg.gov.ge
7. www.businesscafe.ge
8. <http://sesxebi.ge/avto-sesxi.php>
9. <http://sab.ge/ge/useful-info/articles/118-sakreditoproductebi>